# შინაური ცხოველები

## საბავშვო ბაღში



შექმნილია „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტის“ მიხედვით.

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

ჩააკარი შენი ფოტო

სახელი ____________________________

გვარი ____________________________

გააფერადე

# ძველი დრო

დიდი ხნის წინ ცხოველები ველურ ბუნებაში ბინადრობდნენ. ხალხი მათზე ხორცის გამო ნადირობდა.



მოგვიანებით მონადირეებმა მოიფიქრეს, დაჭერილი ცხოველები შემოღობილ ადგილას ჩაეკეტათ...

და მათ აღმოაჩინეს, რომ ხორცის გარდა,

მათი რძე და მაწონიც გამოდგებოდა.



გააფერადე

# ძროხები



ძროხა შინაური ცხოველებიდან ერთ-ერთი უდიდესი ცხოველია. ის ბალახს ჭამს.



ხბო დედის რძით იკვებება და როცა მოშივდება, ბღავის.

როცა მიწა თოვლითაა დაფარული, ფერმერები ძროხებს საძოვარზე აღარ უშვებენ და თივას უყრიან.

ძროხის ნაშიერს ხბო ჰქვია.



გააფერადე

# ცხვრები



ცხვრებს სქელი მატყლი აქვთ, რომელიც ზაფხულში არ სჭირდებათ. მწემსები მატყლს კრეჭენ და ტანსაცმლისა და საბნების დასამზადებლად იყენებენ. ცხვრები ბაკში – მინდორში შემოღობილ ადგილას – ცხოვრობენ.

ცხვრის შვილს ჰქვია ბატკანი.



ბატკნები იოლად ცნობენ დედებს, იმიტომ რომ ყველა
მათგანი განსხვავებული ხმით კიკინებს.

გააფერადე

# თხები

თხებს უზარმაზარი დახვეული რქები აქვთ.



ზოგი ფერმერი წველისას თხებს მუსიკას ურთავს. სჯერათ, რომ მუსიკის მოსმენისას თხა მეტ რძეს იძლევა.

თხის ნაშიერს ციკანი ჰქვია.



თხის რძე ძალიან სასარგებლოა.

გააფერადე

# ღორები



ფერმერები ღორებს სალაფავით კვებავენ, თუმცა, ისინი მაინც ჩიჩქნიან მიწას და საკვებს იქაც ეძებენ.

ღორის ნაშიერს გოჭი ჰქვია. დედა ღორს შეუძლია ერთ ჯერზე 14 გოჭი გააჩინოს.

ღორები ღრუტუნებენ, გოჭები კი ჭყივიან.



გასაგრილებლად ღორები ტალახში გორაობენ.
მერე მზეზე წვებიან და შრებიან.